ცნობის ფურცელი

№ 1768 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 კვირა, 31 მარტი № 1768

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ № თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ სურათებიანი დამატების მე-34 ნომერი.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ აპრილიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქ გარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს 5 მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

კ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვების 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—9 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274 (წლ.)

დღიური ჩვეულებრივი საზოგადო კრება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა დანიშნულია 6 აპრილს, შაბათს, დილის ათ საათზე ს. კუხს, ამხანაგობის სამმართველოში. საგნები კრებისა: 1) 1900 და 1901 წლის ანგარიშების დამტკიცება; 2) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა სამინისტროსაგან დამტკიცებულის წესდების თანახმად; 3) 1902 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება; 4) ამხანაგობის მმართველის მიერ წარმოდგენილის მოსაზრების განხილვა, ორის წლით, საცდელად, წარმომადგენელთა საზოგადო კრების შემოღების შესახებ; 5) გამგეობისადმი მინდობა ამხანაგობის აღებ—მიცემობისათვის ფულის სესხებისა და 6) ამხანაგობათა კავშირის წესდების შემუშავების და დასამტკიცებლად წარდგენის მინდობა გამგეობისადმი სხვა ამხანაგობათა წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

ამხანაგობის მმართველი **ნესტორ წერეთელი.** (ნ. 10—4)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმიო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ექიმი
ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24
ტელეფონი № 642.

საგანი სიცოცხლისა

II

სიცოცხლის უკუღმართობა, ბედნიერების თვალთ-მაქცობა, ადამიანის მარტოობა, შიში სიკვდილის მოლოდინისა—ყველა ამას, საუკუნოების სიღრმიდანვე, კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელნი კარგათ ჰგრძნობდნენ.

გეგეზის[1] სიტყვებით, სრული სიამოვნება შეუძლებელია. სიხარულს გულის ასუყება და ზიზღი მოზდევს. სიცოცხლეში ტანჯვა სიხარულს აღემატება. ტანჯვის ასაცილებლად, სიხარულს ერიდეთ, მოიკალით გულში გრძნობა და სურვილი. სიცოცხლე სიკვდილზე მეტი სანატრელი არ არის. სიცოცხლეს და სიკვდილს ერთნაირი ფასი აქვსო.[2] ხოლო ბერძნების შეხედულებით სიამოვნება და სიკეთე ერთი და იგივეა. სიკეთე ყოველთვის სასიამოვნოა და სიამოვნებასაც სიკეთის ბეჭედი აზის. ეპიკური[1] სწორედ ამ აზრისა იყო. მაგრამ სიამოვნება ხომ თავდება, სწყდება: სიკვდილი ჰკლავს სიამოვნებას. თუ სიამოვნება და სიკეთე ერთი და იგივეა, მაშასადამე, სიკვდილი სიკეთესაც ჰკლავს და ინადგურებს. და თუ ეს ასეა, მეტი უბედურებაღა იქმნება? ამ წინაალმდეგობიდან ეპიკური შემდეგის მოსაზრებით გამოდის: საქმე იმაში კი არ არის, რომ სიამოვნება ხანგრძლივი იყოს. სიამოვნება ძლიერი უნდა იყოს და ხანგრძლივია იგი თუ წუთიერი—ანგარიშში მისაღები არ არის. მაშასადამე, სიამოვნების შეწყვეტა არ უნდა გვაფიქრებდეს და ამის გამო გულს ნუ გავიფუჭებთო. ახალ დროში, ფეიერბახიც ასე უყურებდა საგანს. „მუსიკალური ხმა, მაგალითად, ამბობდა ფეიერბახი—დროით არ გაიზომება. როდესაც ამ ხმებიდამ სონატა იბადება, განა ეს სონატა ხანგრძლივია? ამ სონატას განა განუწყვეტლივ უკრავენ? ხოლო ამის გამო განა იგი ნაკლები სასიამოვნოა? რას იტყოდით იმ ადამიანებზე, რომელიც, ამ სონატის დაკვრის დროს, მუსიკას კი არ უგდებს ყურს, არამედ საათსა სთვლის და მუსიკის დასაფასებლად იმის ხანგრძლივობით ხელ-მძღვანელობს. მაშინ, როდესაც სხვები აღტაცებაში არიან, ეს კაცი მხოლოდ იმას ამბობს, მუსიკის ხმები თხუთმეტი წამის განმავლობაში ისმოდნენო? რასაკვირველია, ამ ადამიანს სულელს დაუძახებთ. მაშ რა სახელი უნდა დაერქვათ იმათ, ვინც სიცოცხლესაც იმიტომ არ აფასებს, რომ იგი წარმავალი არისო.“[3]

ყველა კარგი, წუთიერია სიხარული, თუ ხანგრძლივი, იგი ხომ მაინც იკარგება? თუ სიხარული და სიამოვნება დროით არ გაიზომება, ვერავინ დაგვიშლის ამ წუთიერი სიხარულის და სიამოვნების სიყვარულს. თუ გვიყვარს წუთიერი სიხარული, ამ წუთიერი სიხარულის დაკარგვა მაინც, რაც უნდა სთქვათ, სამწუხაროა ჩვენთვის. ამიტომ არის, რომ ადამიანი, რაც უნდა ელაპარაკოთ, სიკვდილს მაინც ვერ ურიგდება. რატომ არის ეს? ბრძენ ეპიკურის აზრით, ეს იმიტომ მოხდება ხოლმე, რომ ადამიანი უფრო დაბალ გრძნობებს და ვნებათა ღელვას ებღაუჭება ხოლმე. ამ გრძნობათა დაკმაყოფილების შეუძლებლობა, სიკვდილის გამო, სიკვდილის წინაალმდეგ შიშსა და ზიზღს უბადავსო. სხვა ვერაფრით აიხსნება სიკვდილის შიში. ან რა არის სიკვდილი, რომ იმისი შიში უნდა გვქონდესო? „სანამ ჩვენ ცოცხალნი ვართ სიკვდილი ხომ არ არის,—ამბობს ეპიკური. როცა სიკვდილი მოდის, ხომ ჩვენ აღარ ვართ. მაშასადამე, სიკვდილი არც ცოცხალთათვის არსებობს, არც მკვდრებისათვისო“[4]. ამავე აზრისაა სიკვდილზე. მეორე ბრძენი ლუკრეტიც. „დააკვირდით, ამბობს ის, როგორ გულგრილად უყურებთ იმ საუკუნო დროს, რომელიც უკან, ჩვენს დაბადებამდე იყო. ეს წარსული საუკუნო დროის სარკეა, რომელშიაც ბუნება იმ მომავალს გვიჩვენებს, რომელიც ჩვენი სიკვდილის შემდეგ დადგება. რა არის ამ მომავალში შემაშინებელი, დამაღონებელი? განა ეს ის სანეტარო მოსვენება არ არის, რომელსაც არავითარი ძილიც სიზმარი არ გვაძლევსო?“[1] ამგვარმა შეხედულებამ და სულის სიმშვიდემ სიკვდილის წინა დღეს დააწერინა ეპიკურს მეგობრისადმი წერილი, რომელიც ყოველთვის უმაღლესს სიბრძნის ნიმუშად დარჩება: „მე შენა გწერ—ეუბნება ეპიკური თავის მეგობარს ერმარხოსს—და ვგრძნობ, რომ დღევანდელი დღე, თუმცა ის უკანასკნელია, უბედნიერესი დღეა ჩემს სიცოცხლეში. მართალია, ამ ჟამად მე ძლიერ ვიტანჯები, ხოლო მიუხედავად ხორცის ტკივილისა, მე რაღაც სულიერ სიხარულსა ვგრძნობ, ვაკვირდები რა იმას, რაც შევითვისე და შევიგენი განვლილ ცხოვრებაში“. „ეს სიმტკიცე მეტად კეთილშობილურია,—ამბობს გიუიო. რაღაც დიდებული ძალაა ტანჯვის ძლევის სურვილში, ტკივილის მიყუჩების ოცნებაში, წარსულ გონებრივ გამარჯვების მოგონებით, ძალა ისახება ამ უიმედო ალსარებაში, სიკვდილის წინა დღეს, სიცოცხლის ბედნიერებისაო“.[2] გიუიოს სიტყვებშიაც იმგვარივე დაღონება გამოიყურება. იმასაც თითქოს ენანება ეპიკური, თითქოს არა ჩვეულებრივ მოვლენად სთვლის სიკვდილის წინაშე სრულის სიმტკიცის და გულის დამშვიდების აღიარებას. მართლაც, გიუიოს ფილოსოფიურ ნაწერებში, მიუხედავად იმისა, რომ მისი აზრი ამ ქვეყნად ბევრ კმაყოფილებას ჰპოვებს, მიუხედავად ფილოსოფიის რეალურ მიმართულებისა, მისს აზრს და გრძნობას სიხარულის კილო ეკარგება და მას, თითქოს, ეშინიან ადამიანის მარტოობისა და ობლობისა. ერთ თავის გამოკვლევაში, აი როგორ გვიხატავს გიუიო თავის სულის მდგომარეობას: „მთაში, მწვანე ბალახზე გავწექი, საიდანაც ხვლიკი გამოძვრა. აცოცდა ჩემს ფეხზე—ქვა ეგონა და არხეინად მზის სხივებში ინაზებოდა. ეს პატარა არსება ჩემს მუხლზე დამშვიდებულად მოსვენებაში იყო. იგი სტკბებოდა, როგორც მე მზის სხივებით და ეჭვში არც-კი შედიოდა, რომ იმის ქვეშ, ჩუმად და მეგობრულად, შედარებით ძლიერი, სიცოცხლე მოძრაობდა. მე დავყურებდი მწვანე ბალახს, რომელზედაც გაშხლართული ვიყავ, შავ მიწას და უზარ-მაზარ კლდეებს. და განა მე თვითონ პატარა ხვლიკს არ მივაგავდი. განა ჩემს ქვეშ სიცოცხლის ძარღვის ცემა არ იყო, ის ძარღვის ცემა, რომელიც მთელ მსოფლიოს ამოძრავებდა? რა უყოთ, რომ ეს მსოფლიო სიცოცხლე, არსებითად, რაღაც დაბრმავებული, ეგოისტური სიცოცხლეა, —სიცოცხლე, სადაც თვითვეული ნაწილი დამოუკიდებლად, თავის თავისთვის თუ მუშაობს? პატარა ხვლიკო! რატომ მეც, შენებრ, ამ მზის სხივების ქვეშ, არა მყავს მეგობრის თვალი, რომელიც ყურებას დამიწყებდა ისე, როგორც მე შენ გიყურებო?“[3] გიუიო თითქოს ხვლიკს შეჰნატრის. ხვლიკს იმის სახეში მეგობარი ჰყავდა და ეს პატარა არსება ამ განუსაღვრელ მსოფლიოში მარტოდ არ იყო დარჩენილი. ადამიანი კი, რომელსაც თვით ცნობიერებაც და შეგნებაც გაღვიძებული აქვს, მარტოა, დაობლებული და მზის სხივების ქვეშ მას მეგობრის თვალი არა ჰყავს. მარტოობის ამგვარ თვით შეგნებიდან ერთი ნაბიჯია სასოწარკვეთილებამდე: მარტოობით ადამიანს უფრო აგონდება ბედნიერების ამაოება. მაგრამ გიუიო, რომელსაც დრო გამოშვებით ნაღვლიანი კილო აქვს, მკაცრად ეწინაალმდეგება სულის ლაჩრობას, აზრის სიმხდალეს და ცრემლიან წუწუნს.

„თუ ყოველივე ამაოა ამბობს ის, უწინარესს ყოვლისა ამაოა თვით ეს აზრი ამ წუთი სოფლის ამაოებისა. თუ მოქმედება ამაოა, მოსვენება უფრო მეტია ამაო. თუ სიცოცხლე ამაოა, სიკვდილი მეტი ამაოაო.[4]“ ცხოვრებას რომ დააკვირდეთ, იმოდენა მიმზიდველობას დაინახავთ, რომ მწუხარება და ტანჯვა აღარ მოგაგონდებათ. „სიცოცხლე, დაადგება რა განვითარების გზას, თვით-შეგნებას ჰბადავს—განაგრძობს გიუიო.—სიცოცხლის წარმატება ამ შეგნების წარმატებაა... როცა ვამბობ-ვცხოვრობ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი აზრი და გრძნობა მუდმივ წარმატებაშია. იმ დროს, სანამ ჩემში სიცოცხლის თვით. შეგნება იზრდება, ჩემი მოქმედების ასპარეზიც იზრდება. სიცოცხლე ნაყოფიერებაა (vie, c'est fécondité). არსება, რომელშიაც თვით-შეგნება განუვითარებელია, გარსის ვიწრო ფარგალიდან არც კი გამოდის, განვითარებული ადამიანი გონებრივ და ზნეობრივ ნაყოფიერებას იჩენს... ...სიცოცხლე მარტო თავის გამოკვება (nutrition). არ არის, იგი ნაყოფიერებააო(production“).[8]

ამრიგად, სიცოცხლის არსებითი თვისება განვითარება და წარმატება ყოფილა. რა უყოთ, რომ ეს განვითარება კერძო შემთხვევაში, კერძო კაცის სიკვდილით, სწყდება. იგი მსოფლიო ცხოვრების მსვლელობაში განუწყვეტელია და მუდმივი. განვითარებული ადამიანი მით განირჩევა განუვითარებელისაგან, რომ პირველი ყოველთვის შორს იყურება, საზოგადო მოსაზრებით ხელმძღვანელობს, მეორე კი პირად ცხოვრების ანგარიშს ვერ გადასცილდება ხოლმე და ყოველთვის მხოლოდ თავისი „მე“ აქვს მხედველობაში. ამიტომაც არის, რომ ეს ორი ადამიანი სულ სხვა-და-სხვა ნაირად აფასებს პირად ბედნიერებას და სხვა-და-სხვა ნაირად უყურებს სიკვდილის აუცილებლობას. ეგეც რომ არ იყოს, თვით სიცოცხლეში მაინც იმოდენა ღირსე-

---

[1] ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი.

[2] La morale d'Epicure—Puyau, გვ. 115.

[3] ibid გვ. 114 და 115.

[4] ibid. გვ. 111.

[1] ibid. გვ. 120.

[2] ibid

[3] ibid.

[4] Z'irreligion de l'avenir. გვ. 438.

[8] ibid.

ბაა, იმდენა სიამოვნება და მომხიბვლელობა, რომ ყველა ეს საკმარისად უღვიძებს ადამიანს სიცოცხლის სურვილს. თუ სიცოცხლეს აუცილებლად ავადმყოფობა თან ზდევს, და ეს ავადმყოფობა სტანჯავს ადამიანს, ნუ დავივიწყებთ იმასაც, როდესაც ჩვენი ხორცი ჯან-საღია, სისხლი ძლიერად ტრიალებს ჩვენს ძარღვებში და ჩვენ ვგრძნობთ ფიზიკურ კმაყოფილებას. თუ ჩვენ სიბერე გვაწუხებს, სიბერის მოლოდინი გვაშფოთებს, ვისარგებლოთ და დავსტკბეთ ახალგაზრდობით, როდესაც ოცნება და აღფრთოვანება ჩვენს გონებაში ერთმანეთს ეცილებიან. ან რად უნდა გვაშინებდეს სიბერე? თუ სინიდისიერად და ნაყოფიერად გავატარეთ სიცოცხლე, ჩვენი სიბერეც დამშვიდებული, დინჯი და ბრძენი უნდა იყოს. თუ სიკვდილის მოგონება საღერღელს გვიშლის, მწუხარებით ავსებს ჩვენს გულს, გავიხსენოთ, რომ სიკვდილი აუცილებელია, რომ იგი ბუნებრივი დაბოლოვებაა გაცვეთილ და ცხოვრებისთვის გამოუსადეგარ სიცოცხლისა. გავიხსენოთ, რომ იქ, საცა სიკვდილია, სიცოცხლე, დაბადებაც არის, ე. ი. სიხარული და ბედნიერება. ყველა ეს რომ გავიხსენოთ და ამასთან ისიც მოვიგონოთ, რამდენ ნაირ სხვაგვარ სიხარულსაც აქვს ადგილი ჩვენს გულში, როგორ გვეალერსება ხოლმე მზის სხივები, როგორ ამშვიდებს ადამიანს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, როგორის სიხარულით ვეგებებით ხოლმე ახალ აზრს, როგორ გვაღფრთოვანებს წრფელი გრძნობა, სულის წარმტაცი ოცნება, თავგანწირულება და სულ-დიდება—ყველა ეს რომ გავიხსენოთ, დავინახავთ, რომ სიცოცხლეში არამც თუ ნამდვილი სიხარულია, ღრმა აზრი და მნიშვნელობაც არის. სიცოცხლის ღირსება ის არის, რომ იგი სავსეა მოულოდნელის ბედნიერებით. სიცოცხლის აზრი ის არის, რომ იგი მუდმივი წარმატებაა, მაშასადამე, მუდმივი ბრძოლაა უსამართლობის, სიღარიბის და დამონავების წინააღმდეგ.

არჩილ ჯორჯაძე

საზღვარ-გარედ

ავსტრ-ჰუნგრეთი. რუსინების (რუსების მალორუსები) ეროვნულ მოძრაობაზე გალიციაში და ავსტრიის პარლამენტში ერთხელაც გვქონდა ლაპარაკი. ეს მოძრაობა თანდათან უფრო ძლიერდება და ვრცელდება ხალხში. პირველი მუხლი რუსინულ პატრიოტების პროგრამისა რუსინულ სკოლების რიცხვის მომატებაა. ამ მოკლე ხანში ქ. ბერეჟანში (აღმოსავლეთი გალიცია) შესდგა კრება, რომელსაც დაესწრო არა მარტო ინტელიგენცია და სამღვდელოება, არამედ დიდძალი გლეხობაც. მოხსენება წაიკითხა დოკტორ ჩაიკოვსკიმ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ბერეჟანს გიმნაზიაში იმდენი რუსინელი მოსწავლე იმყოფება, რომ საჭიროა მათთვის საკუთარი რუსინული გიმნაზია (საგნების სწავლება რუსინულ ენაზე), რადგან პოლონური ენა უცხოა მოსწავლეთათვის და ამ მიზეზით სწავლის საქმე ფერხდება. კრებამ ერთხმად დაადგინა—ეთხოვოს გალიციის სეიმს და ცენტრალურ მთავრობას ვენაში ან დამოუკიდებელ რუსინულ გიმნაზიის დაარსება ან და დროებით პარალელურ რუსინულ კლასების გახსნა.

როგორც ვიცით, რუსინებს ოთხი საუკეთესო გიმნაზია აქვთ; ბერეჟანის გიმნაზია მეხუთე იქნება, თუ დააკმაყოფილეს ზემოხსენებული შუამდგომლობა.

რადგანაც რუსინებმა ჯერ-ჯერობით ვერ გამოითხოვეს საკუთარ ეროვნულ უნივერსიტეტის დაარსება, ამიტომ რუსინელ ერის მამულიშვილებ შორის დაიბადა აზრი, დაარსონ უმაღლესი სასწავლებელი საკუთარის ღონისძიებით. ამ მოკლე ხანში ქ. ჩერნოვიცაში გამოვიდა ერთი ბროშიურა სათაურით—„უნივერსიტეტი ხელის მოწერით“. ავტორი ამტკიცებს, რომ რუსინები შესძლებენ უნივერსიტეტის დაარსებას საკუთარის საშუალებით, მთავრობის დაუხმარებლად. უმაღლესი სასწავლებელი კი აუცილებლად საჭიროა რუსინელ ხალხისათვის, რადგან 1) თუ ახალგაზდობა უცხო მხარეს ისწავლის, ბევრი ძალ-ღონე დაეკარგება ხალხს სრულებით უსარგებლოდ, 2) რუსინული მეცნიერება მოკლებული იქნება მკვიდრ ნიადაგს, თუ მოსწავლე ახალგაზდობა ლვოვში (რუსინების სატახტო ქალაქია, ისე, როგორც ტფილისი ჩვენში) არ იქნება, 3) რუსინელი ახალგაზდობა უთუოდ ლვოვში უნდა სწავლობდეს, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს უცხო ელემენტს, 4) უცხოეთში მყოფ რუსინელ სტუდენტებისათვის შეგროვილი თანხა (სამოცი ათასი კრონი) ილევა. რუსინული უნივერსიტეტი აუცილებლად საჭიროა ეროვნების შენახვისათვის. ამ მხრივ პოლონელები იმდენად არ არიან ჩვენთვის (რუსინებისათვის) საშიში, როგორც სხვები; პოლონელებს თვითონ ეშინიანთ არ დაჰკარგონ ეხლანდელი მდგომარეობა, რადგან ჩვენ სულ წინ-წინ მივალთ“. საშიში სხვებია და ამიტომაც არის საჭირო ეროვნული რუსინული (უკრაინული) უნივერსიტეტი.

ბროშიურის ავტორი წინადადებას იძლევა აირჩიონ კომიტეტი ცნობილ და გავლენიან პირთაგან და შეუდგნენ შემოწირულების შეგროვებას ყველა რუსინელ-უკრაინელებისაგან ეროვნულ უნივერსიტეტის დასაარსებლად.

ღარიბი რუსინები (ისინი გალიციაში ჩვეეზე ღარიბები არიან) ჰბედავენ იფიქრონ საკუთარის საშუალებით უნივერსიტეტის დაარსებაზე და ჩვენ კი ორი საშუალო სკოლა ვერ შეგვინახავს. საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ბერეჟანში, მაგალითად, რუსინელ გლეხებს მიუღიათ მონაწილეობა სასკოლო საქმეში. საყურადღებოა ეს გარემოება იმიტომ, რომ იგი ამტკიცებს რუსინელ ხალხის სრულ გამოღვიძებას.

ინგლისი. ორიოდე სიტყვა კიდევ სესილ როდსზე. გაზეთები ბევრს სწერდნენ და სწერენ ეხლაც. რუსულ გაზეთებში იგი ნაძაგებია; ვერც ერთი კეთილი მხარე ვერ მოუნახეს ამ შესანიშნავ პიროვნებას. ბოლოს, როცა როდსის ანდერძი გამოქვეყნდა, „ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტი იძულებული შეიქნა შემდეგი დეპეშა გამოეგზავნა ლონდონიდან: „სესილ როდსის ანდერძი საზოგადო ენტუსიასმს იწვევს ინგლისში. როდსმა სამოც მილიონ მანეთზე მეტი დასტოვა „ბრიტანიის იმპერიის სასარგებლო საქმეებისათვის, ოცი მილიონი ოქსფორდის უნივერსიტეტს უძღვნა ახალშენების სტიპენდიანტებისათვის, „რათა ისინი აღიზარდონ „ბრიტანიის იმპერიის ერთგულებაში“. რამდენიმე სტიპენდია დაინიშნა ამერიკის ყოველ შტატის მოსწავლისათვის „მათში ინგლისისადმი სიყვარულის აღზრდისათვის, რამდენიმე—გერმანელებისათვის, ვილჰელმ მეორის არჩევით, რათა ეს გერმანელები აღიზარდონ სამ დიდებულ ტევტონურ ხალხების გაერთიანების ნიადაგზე. როგორც არ უნდა ვიფიქროთ როდსის განზრახვაზე—ფულით უყიდოს სიმპატია ინგლისელებს, ეჭვს გარეშე, რომ მან დაამტკიცა ნამდვილი სიყვარული სამშობლოსადმი და რომ იგი თავს უყრიდა თავის აუარებელ ქონებას ინგლისისათვის დიდებულ მიზნის მისაღწევად“.

რუსებისა არ იყოს, и на этомъ спасибо, თორემ აქამდე სულ ასეთ ეპიტეტებს ჰკითხულობდი როდსზე—უგულო, სისხლის მსმელი ვაჭარი, სინიდისს სრულებით მოკლებული და სხვა.

ახალი ამბავი

◆ ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ **სპარსეთის შაჰი მუზაფერ-ედინი**, 25 მარტს, ამალის თანხლებით თეირანიდან გამოსულა და მიემგზავრება საზღვარ-გარედ.

◆ ბათუმის ახალი ქალაქის თავი თავ. ი. **ზ. ანდრონიკაშვილი** ტფილისიდან 2 აპრილს ქუთაისში მიდის და იქიდან ბათუმს; ასე რომ 4-დან თავის სამსახურის აღსრულებას შეუდგება.

◆ „პეტერბ. ვედომ.“-ს პარიზელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ საფრანგეთში შესდგა **ფრანგ მრეწველთა და კაპიტალისტთა საზოგადოება**, რომელსაც განუზრახავს სამრეწველო მუშაობა გააჩაღოს კავკასიაში. საზოგადოება უკვე შეუდგა მოლაპარაკებას კავკასიის სხვა და სხვა მადნის პატრონებთან და სთხოვს მათ დაუთმონ ექსპლოატაციის საქმე.

◆ ჩვენ შევიტყეთ, რომ ნაალდგომევს ქართულს თეატრში, ვ. გუნიას თაოსნობით გაიმართება რამდენიმე **იაფ ფასიანი წარმოდგენები**, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ, სხვათა შორის, ქ-ბნი ნატალია გაბუნია ცაგარლისა, ქეთევან ანდრონიკაშვილისა, ალ. კარგარეთელი და სხვანი, აგრეთვე ბ-ნი ვლ. მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი და სხვანი. რეპერტუარი: „ურიელ აკოსტა“, „ყაჩაღები“, „ოტელლო“, „კონსტანტინე ბატონიშვილი“ და სხვ.

◆ ი. პ. როსტომაშვილმა, როგორც გადმოგვცეს, უკვე მოაწყო **სამეურნეო კურსების საქმე** იმდენად, რომ სამშაბათს, 2 აპრილს, უკვე სწავლა დაიწყება. ამ ჟამად სკოლაში მიღებულია 20 ყმაწვილი. მასწავლებლები სხვა-და-სხვა საგნებისა სკოლისათვის უკვე მოიწვია; სჭირდება კიდევ მხოლოდ ერთი მასწავლებელი, რომელმაც შაგირდებს მებაღეობა უნდა ასწავლოს.

◆ დღეს, 31 მარტს, ტფილისის დედათა მესამე გიმნაზიის სადგომში მოხდება ამ გიმნაზიის **საქველ-მოქმედო საზოგადოების** წევრთა საზოგადო კრება. კრების საგნებია: განხილვა წასულ 1901 წლის ანგარიშისა და მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა და დასასრულ საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა.

◆ **მოზდოკის** ქალაქის მამასახლისი სთხოვს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს—გაეგზავნოს მას ხალხში გასავრცელებლად აბრეშუმის თესლი.

ამგვარისავე თხოვნით მიჰმართა სამეურნეო საზოგადოების საბჭოს ქუთაისის გუბერნიის მიქელ გაბრიელის საზოგადოების 30 კომლმა კაცმა; ესენი თხოულობენ, რაც შეიძლება, ხელ მისაწვდომ ფასად დაეთმოს მათ აბრეშუმის თესლი.

◆ ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსი ზედამხედველი ალიხანოვი დეპეშით ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ იმან ალექსანდროპოლის მაზრაში ბევრი **საკლავი საქონელი** იყიდა ქალაქის საყასბოსათვის.

◆ ტფილისის **კადეტთა კორპუსის** შენობისათვის ადგილი შეიძინეს ვერაზე, სადაც ეხლა სასულიერო სემინარიის სადგომი შენდება, იმის მეზობლად.

◆ ამას წინად სავაჭრო-სამანუფაკტურო კომიტეტმა ითხოვა ნება **დაბალ ტეხნიურ სასწავლებლის** გახსნისა ტფილისში. ამის გამო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი აუწყებს კომიტეტს, რომ ყველა ხარჯის გამოანგარიშებით სასწავლებლის გახსნა—მოწყობა დაჯდება 300,000 მან. ერთხნობით, ხოლო ყოველ-წლიური ხარჯი იქნება 52,000 მ. თუ ყველა ამ ხარჯს იკისრებს ქალაქი, სამოსწავლო უწყება სიამოვნებით ხელს მოუმართავს სასწავლებლის გახსნის საქმეშიო.

◆ 27 მარტს, დაიწყო სხდომები სხვა-და-სხვა საკითხების გამოსარკვევად კავკასიის **სახელმწიფო მამულების** მართველებისა, მინისტრის რწმუნებულის ი. ს. მედვედევის თავმჯდომარეობით. სხდომებს, გარდა სახელმწიფო მამულების მართველებისა, ესწრებიან: კავკასიის თევზის მრეწველობის გამგე დ. ს. ს. მარმოვი, სასოფლო-მეურნეობის ინსპექტორი ი. კ. ვასილიევი და მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის თანაშემწე ბ-ნი შიმანოვსკი. ამ სამს დღეში სხდომები მოანდომეს შემდეგ საკითხის განხილვას: აქამდე კავკასიის წყლებში თევზის დაჭერის და სათევზო მრეწველობის თვალ-ყურის დება დავალებული ჰქონდა ამ მრეწველობის უწყების მმართველს; რადგანაც სამინისტროს საჭიროდ დაუნახავს თევზით მრეწველობის შესახები საქმეების მართვა-გამგეობა განაწილებულ იქმნას სახელმწიფო ქონებათა სამმართველოებისა და თევზის მრეწველობის უწყების მმართველის შორის, ამიტომ მინისტრმა ამას წინად წინადადება მისცა კავკასიაში თავის რწმუნებულს—წარედგინა სახელმწიფო ქონებათა მმართველების კრებისათვის საკითხი, თუ როგორ იქმნეს ეს საქმე მათ შორის განაწილებული. ამ საკითხის ყოველ მხრით განხილვის შემდეგ კრებამ დასკვნა, რომ საჭიროა თევზის ჭერის შესახებ კანონების სისწორით ასრულებას თვალ-ყური უგდოს თევზის მრეწველობის უწყების მმართველობამ, თანახმად 1897 წელს 5 მაისს გამოცემულ კანონისა; რაც შეეხება წყლების ექსპლოატაციას, საზოგადოთ სათევზაო მრეწველობის საქმეს, კრების გარდაწყვეტილებით, ეს საქმე უნდა მიენდოს სახელმწიფო მამულების მმართველთ.

ამავე სხდომაზე კრებამ აგრეთვე გამოსთქვა სურვილი, თევზის მრეწველობის კავკასიის გამგის განკარგულებაში გარდაიცეს თევზის ჭერის კონტროლი გოქჩის ტბაში და კასპიის ზღვის იმ ადგილებში, სადაც ამ ზღვას მდინარე სამური ერთვის, შამხალა-შარკოვსკის წყლებამდე. რადგანაც კრებას სხვა საკითხებიც აქვს განსახილველი, სხდომა კიდევ რამდენიმე ხანი გაგრძელდება.

◆ დღეს, 31 მარტს, დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის **დურგალთა ამხანაგობის** „შრომის“ წევრთა. კრება დაიწყება დილის 11 საათზე.

◆ როგორც მოხსენებული გვქონდა გაზეთში, გუშინ-წინ შუაღამისას ტფილისში ჩამოვიდნენ **ამერიკელი მოგზაურები**, რიცხვით 140 კაცი, რომლებიც ჩამოხტნენ ლონდონის, ვეტცელის და ორიანტის სასასტუმროებში. ყველა მოგზაურნი შეძლებული ხალხია და მოგზაურობენ ადგილების გასაცნობად. ჩვენს რკინის გზაზე კინაღამ უბედურება დამართვიათ მოგზაურთ. მატარებელი დიდს გვირაბში რომ შესულა, თურმე ერთს მგზავრთაგანს მეორე ვაგონში გადასვლა უნდოდა, რის გამოც ფეხი დასხლეტია და მატარებლის გვერდზე გადავარდნილა. ამხანაგებს მხოლოდ ხაშურში გაუგიათ, რომ ამხანაგი აკლიათ, გაუგზავნიათ დეპეშები. ვარვარინის სადგურიდან წასულან საძებნელად, მაგრამ გვირაბში როგორც შესულან, დაუნახავთ, რომ გადავარდნილი დარაჯს მოჰყავს ფარნით. მგზავრი, იღბალზე, რბილად დაცემულა და არა დაშავებია-რა, მხოლოდ ცოტათი ხელი უტკენია.

მგზავრებმა გუშინ დაათვალიერეს ტფილისი: თათრის მოედანი და შეითან-ბაზარი, ბოტანიკური ბაღი და მუზეუმი, ყველაფერს აკვირდებიან და იკვლევენ, ბევრი სურათებსაც იღებს. მოგზაურები დარჩებიან ტფილისში ხვალამდის და შემდეგ ბათუმით ოდესაში წავლენ, იქიდან საბერძნეთში, ალჟირში და სხვ.

◆ საექიმო გამგეობამ დაავალა ექიმ მაჰავარიანს, რომელიც ეხლა ბორჩალოს მაზრაში იმყოფება სამსახურის გამო, რომ ყველა სოფლები დაიაროს ამ მაზრისა და შეამოწმოს, სად რა **ავადმყოფობაა**, რომ თავის დროზე დახმარება მიეცესთ.

◆ გუბერნიის ადმინისტრაციამ დაავალა შეშის საწყობების პატრონებს, რომ თავიანთ საწყობებში **მილის წყალი გაეყვანათ**, რომელიც დიდს დახმარებას აღმოუჩენდა ცეცხლის გაჩენის დროს. საწყობების პატრონებმა ეს არ შეასრულეს, რის გამოც ადმინისტრაციამ მიმართა სასამართლოს.

◆ 29 მარტს ქალაქის გამგეობის სხდომაზე აღიძრა კითხვა იმის შესახებ, რომ მილის წყალი **არ ჰყოფნის** ქალაქს და რა საშუალება უნდა მიიღონ, რომ მცხოვრებლები დააკმაყოფილონ. თათბირის შემდეგ საჭიროდ დაინახეს, რომ ქუჩებს უკლონ მორწყვა მილის წყლით და დაადგინეს, რომ ქუჩების მოსარწყავად იხმარონ მტკვრის წყალი. ქალაქს წყლის საზიდავად 50 ბოჩკა აქვს, მხოლოდ ცხენები იმდენი არა ჰყავს, რომ ყველა ბოჩკები ამუშაოს და ამიტომ საჭირო რიცხვი ცხენებისა უნდა იქირავონ ხოლმე, თითო მანეთ-ნახევრად დღეში.

◆ გუშინ, 30 მარტს, საქართველოს ეგზარხოსმა მიჰმართა თხოვნით ტფილისის ქალაქის გამგეობას—განკარგულება იქმნას მოხდენილი ვერის საეკლესიო ქუჩის შესაკეთებლად, რადგანაც ეს ქუჩა ისეთ ნაირად შეუძლებელი ჰხდება ავდრიან დღეში წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში მისვლა.

ქუთაისის ახალი ამბები

∽ სამთო ინჟენერი ბ. გ. დეკანოზიშვილი, რომელიც, ჭიათურის შავის ქვის მრეწველთა კრების გარდაწყვეტილების თანახმად, ბრაზილიაში უნდა გაიგზავნოს იქაურ შავის ქვის წარმოება-ვითარების შესასწავლად, ახლო მომავალში უკვე აპირებს ბრაზილიაში გამგზავრებას. მაგრამ ბ-ნი დეკანოზიშვილი, ვიდრე გაემგზავრებოდეს, მოხსენებას წარუდგენს შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს იმის შესახებ, თუ რა პროგრამით უნდა შეასრულოს შავის-ქვის მრეწველთა მინდობილება. ბ. დეკანოზიშვილი ბრაზილიაში 6 თვეს მაინც დაჰყოფს.

~ კარგი იქნება, რომ ქალაქის გამგეობამ ქუჩების შეკეთება დაიწყოს. დროც არის. ხუმრობა საქმეა აქაური ქუჩები! სად გინდა გაიარეთ—უთუოდ ოღრო-ჩოღროებსა და ამოვარდნილ ქვებს წაატყდებით. დარში მტვერია და წვიმის დროს ტალახი ხომ რაღა სახსენებელია: ძნელად თუ მოიპოვება მეორე ქალაქი კავკასიაში, სადაც ასეთი მტვერი და ტალახი იცოდეს.

იმედი გვექნება, რომ ქალაქის გამგეობა მიჰბაძავს გზათა უწყების ოლქს, რომელიც ბალახვანის ქუჩას აკეთებს, და გააკეთებს ქუთაისის ბედკრულ ქუჩებს.

~ დადგა გაზაფხული, ჩვენებური ცხელი გაზაფხული. ჯერ გვალვებია და, თუ ესე გასტანა, რა თქმა უნდა, მუშაობას ხელს შეუშლის.

ამ დროს ჩვენ მუდამ იმის შიში გვაქვს, რომ სხვა-და-სხვა სენმა თავი არ იჩინოს და ამ შიშს თითქმის არასოდეს არ უმტყუნია ჩვენთვის, ყოველთვის გამართლებულა: კისერა, წითელა და ყივანა-ხველა კარგად გავრცელებულია ამ ჟამად ქუთაისში და, რა გასაკვირველია, რომ აქედან სოფლებსაც მოედება. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ სენების გავრცელებას ჩვენივე უსუფთაობა უწყობს ხელს: კარ-მიდამოები, ეზოები, ქუჩები, თუ სხვა დიდს უსუფთაობაში გვაქვს. ამ უსუფთაობაში იბუდება ყოველივე სენი და როცა გაზაფხულის სითბო დაჰკრავს—თავს იჩენს და მუსრს ავლებს მცხოვრებთ. სანამ ჩვენი ქალაქის მცხოვრებლები ნაგავიდან თავს არ დააღწევენ, სანამ ბინძური წყალის ჭაობებს ეზოებში, თუ ქუჩებში არ ამოაშრობენ და ყოველ სიმყრალეს არ აშორდებიან, მანამ სენის ბუდე არ მოისპობა ქალაქში და მუდამ მძვინვარებაში იქნება.

ქალაქის თვით-მმართველობის, პოლიციისა და მცხოვრებლების შეერთებულ ძალას ამის წინააღმდეგ ბევრი შეუძლია.

~ 26 მარტს ქუთაისში მიაბარეს მიწას ღრმად მოხუცებულის მოძღვარის იოსებ აბრამიშვილის მეუღლე. მიცვალებული მით იყო შესანიშნავი, რომ მთელი თავის სიცოცხლე ღარიბ და დავრდომილთა ინტერესებს ამსახურებდა. ძველს ზნე-ჩვეულებაზე, ძველ ქართულ მეოჯახეობის მოყვარული, კარგა მცოდნე იყო ჩვენებურ ძველი წამლობისა და სახელიც დიდი ჰქონდა განთქმული. წამლობისათვის ფულს არავის ახდევინებდა, პირ-იქით, თვითონაც გამოიღებდა ხშირად წამლის სასყიდელს, ოღონდ დავრდომილისათვის შველა მიეცა. ბევრ თავის ღარიბ ნათლულს თუ სხვა ღარიბ ოჯახის შვილს თავის ხარჯით ზრდიდა და ასწავლიდა მდაბალ სასწავლებლებში. განსვენებულის კეთილ-ადამიანობა განსაკუთრებით ზექეთას უბანში ქუთაისში ბევრმა იცის.

დაბა-სოფლები

დ. ძველი სენაკი: სახარებოდ ძველ სენაკში ჩვეულებრივ გაიმართა სახარებო იარმარკა (ბაზრობა). სოფლიდან ბლომად იყო შემოტანილი შინაური ნაქსოვი შალი, მაგრამ მუშტარი ძრიელ ცოტა იყო, რის გამოც ურიებმა იხრის ფასად ჩაიგდეს ხელში და ურმებით წაიღეს ქუთაისში. შალის სიიაფეს აწერენ რუსული შალის კონკურენციას... ბლომად იყო აგრეთვე მორეკილი შინაური საქონელი: ხარი, ძროხა და ცხენი, მაგრამ, წრევანდელ უხალო ზამთარს საცოდავთათვის თავისი შიმშილის დაღი დაესვა. როგორც ამბობდნენ შედარებით წინა წლებთან საქონელი ძვირი იყო და ბევრი მუშტარიც ყოლია.

25 მარტს ძველი სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელთა თაოსნობით არტისტის გასილ აბაშიძის პატივსაცემლად, სკოლისავე დარბაზში წარმოდგენილ იქმნა „ადვოკატი მელაძე“, „იჭვიანი“ და „ადამ-და-ევა“. წარმოდგენის წინ მასწავლებელმა ნ. ჯანაშიამ წაიკითხა რეფერატი თეატრის მნიშვნელობის შესახებ.—მერე მანვე წაიკითხა ვას. აბაშიძის ბიოგრაფია და მისი ჩვენი სცენისთვის მნიშვნელობა. წარმოდგენას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო, მახლობელი სოფლებიდანაც იყვნენ საპატიო პირები. წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობდნენ გურიიდან ჩამოსული სცენის მოყვარენი და ადგილობრივი თანამგრძნობნი ქ. სალაყაიასი. საზოგადოება, წარმოდგენით კმაყოფილი, 12 საათზე დაიშალა. სრული შემოსავალი იყო 73 მან. ხარჯის გამოკლებით, როგორც ვიცით, მოხმარდება ძველი სენაკის დედათა სამრევლო სკოლას.

სტუმარი.

წერილი სიღნაღიდან

(ჩვენი საქალაქო თვით-მმართველობა)

სიღნაღის თვით-მმართველობის დარბაზში კინკლაობა და, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, პარტიათა შეტაკება თანდათან გამწვავდა.

26 მარტის კრებაზე შვიდი საქმიდან განიხილეს ხუთი, მაგრამ ვაი ამ განხილვასაც! ცხრის ნახევარზე როგორც იყო შეგროვდნენ რწმუნებულნი და გაიხსნა კრებაც. აქ წინათვე ჩურჩულებდნენ, რომ დღეს კრება უდროვოთ ჩაიშლებაო და მართლაც მალე შაემჩნივა სურვილი, მხოლოდ სრულებით ვერ გამართლდა. პირველი კითხვა შეეხებოდა ქალაქის მოიჯარადრის ადალო მაილოვის თხოვნას. მაილოვი თხოულობდა—რადგან ქალაქის ბუდკა, სადაც იმას საყასბო აქვს მოთავსებული, სიძველისაგან ინგრევა და მეორეს მხრით, ქალაქის შუაგულის უბსკრული, რომელიც დღითი-დღე დიდდება და ინგრევა, ზედ-კედლის ძირამდინ მოვიდა და ემუქრის ჩანთქას, განმათავისუფლეთ ჩემის მოვალეობიდან და მიიღეთ თქვენი შენობა, ან სხვა მარჯვე სავაჭრო ადგილას გამიშენეთ ახალი, თუ გინდათ, რომ ჩვენ შორის დადებული პირობა ძალაში დარჩესო. აღმოჩნდა, რომ ეს ადგილი დაუთვალიერებიათ რამდენსამე პირს და მართლა საშიშ მდგომარეობაში უნახავთ და ამიტომ შემოიტანეს აზრი უბედურების თავიდან ასაცდენად: რაც შეიძლება, მალე უნდა დაიცალოს ბუდკა და რადგან ქალაქს სხვა მარჯვე ადგილი არა აქვს, მაილოვი ქირიდან გაანთავისუფლონ დღიდან ბუდკის დაცლისა. როდესაც ამაზე შეეკითხა მამასახლისი დანარჩენ რწმუნებულთ რა აზრისა ბრძანდებითო,

საფაროვმა სთქვა: მაილოვთან შეკრული პირობა ძალაშივე უნდა დარჩეს და ქალაქმა რომ ზარალი არა ნახოს, სხვა ადგილი მივსცეთ მაილოვსაო.

ავაქოვი. მაილოვი ქალაქს 64 მანეთს იჯარას აძლევს, ამიტომ, ქალაქს რომ ეს ფული არ დაეკარგოს, ის ბუდკა რამდენსამე არშინზე განზე გადავიტანოთ, ამაზე სულ 10—15 მანეთი დაგვეხარჯება.

ლიონოზოვი. მამასახლისი და რამდენიმე სხვანი არწმუნებენ, რომ ბუდკის განზე გატანა შეუძლებელია, ყველგან საშიშია და სხვაგან კი ქალაქს შესაფერი ადგილი არა აქვსო. ამ აზრს დაადგნენ მომეტებული და მიიღეს, რომ ბუდკა დაანგრიონ და მაილოვიც გაანთავისუფლონ ქირიდან დაცლის დღიდან.

საფაროვი. გთხოვთ, ჯერ ჩემი აზრი გადაუთარგმნოთ ყველას და მერე შეაგროვოთ ხმები. გადათარგმნეს საფაროვის აზრიც და ხმები შეაგროვა მამასახლისმა.

ავაქოვი. თქვენ ისე არ გადაეცით ჩვენი აზრი რწმუნებულთ; ამიტომ გთხოვთ „Мое мнѣніе внести въ протоколъ“. აქ კამათი გამოვიდა ცოტა. მამასახლისი თხოულობს გაჩუმდეს ავაქოვი, ის-კი გაწიწმაწებული: „Не имѣете права кричать“. კითხვა ჯერ არ გათავებულა და რწმუნებული ზურიევიც თხოულობს, ყუთი უნდა დაუდგათ ამ კითხვასაო და ჩემი აზრიც შეიტანეთ ოქმშიო. მამასახლისი ამირხანოვი: უეჭველათ იქნება შეტანილი ოქმში თქვენი აზრიც და თქვენი უწესოებაც, მხოლოდ ეხლა დამშვიდდით და სხვა კითხვა გავარჩიოთო.

უფრო ხანგრძლივი კამათი და არეულობა გამოიწვია ქალაქის სასაკლაოს იჯარით გაცემამ. წარსული წლის ენკენისთვეში რწმუნებულის ტერ-გრიგორიანცის წინადადებით ხმის უმეტესობით დაუდგენიათ სასაკლაოს იჯარით გაცემა.

დღემდის არავის უფიქრნია ამაზე. ახლა-კი მამასახლისს დაუნიშნავს ვაჭრობა. როგორც ახსნა რწმუნებულმა ს. სარქისოვმა—ვაჭრობაზე—18 მარტს არავინ გამოცხადებულა—მხოლოდ მესამე დღეს, 22 მარტს, შეუძლევია იჯარა ოთაროვს 1010 მან. 26 მარტს-კი მისულან რამდენიმე კაცი და ყველაზე მეტი 1110 ისევ ოთაროვს მიუცია და ყოველივე ხარჯებიც თითონ უკისრნია. ამასთანავე სჩანს, რომ, რაც თვით-მმართველობა არსებობს, სასაკლაო თვით მამასახლისისა და მისის თანაშემწის განკარგულებაში ყოფილა და ყოველ წლობით—თან-და-თან შემოსავალს უკლია—წარსულ 1991 წ. სულ ქალაქს წმინდა შემოსავალი ჰქონია 864 მან. ასე რომ ახლა ქალაქს 864 მაგიერ 1110 მან რჩება ყოველ ხარჯის გაუღებლათ და წინა წელთან 256 მან. მეტი. მამასახლისი უცხადებთ: ამტკიცებთ თუ არა და უმატებთ, რომ ოთაროვი ერთს მესამედს ეხლავე იძლევა და დანარჩენ ფულსაც პირობის შეკვრის დროს, რაც მეტად საჭიროა ჩვენი სიღნაღისათვისაო.

ავაქოვი. ეხლა სხვებიც არიან მსურველნი და ამიტომ არ უნდა დავამტკიცოთ—ამასთან მაგოდენა ფულის გამოღება ერთბაშათ ბევრს არ შეუძლიან, ამიტომ ჩვენ ნაწილ-ნაწილ უნდა გავუყოთ თუნდაც თვეში 100 მან. შემოიტანონ და მაშინ მსურველნიც მეტნი გამოჩნდებიანო.

საფაროვი. ვაჭრობა არ უნდა დავამტკიცოთ, რადგან, ამბობენ, მსურველნი სხვანიც არიანო.

ტერ-გრიგორიანცი. ეგ ვაჭრობა უნდა ჩაიშალოს „На пользы города“-ო, რადგან სხვა არის მსურველი.

ავაქოვი. მე გთხოვთ კონდიცია შესცვალოთ და ისე გავცეთ იჯარით, როგორც მე ვამბობ. ამიტომ გთხოვთ ჩემი აზრი გააცნოთ ყველა რწმუნებულთ და ქართულად უხსნათ სხვებს.

საფაროვი. ყუთი დაუდგათ ამ კითხვას.

მამასახლისი ამირხანოვი. შვიდი ხმა წინააღმდეგ ოთხისა, თანახმაა ვაჭრობის დამტკიცებისა და კითხვა გადაწყვეტილია.

ავაქოვი. მაშ თუ აგრეა და ჩემს აზრს გასავალი არა აქვს, მე მივდივარ (მიდის).

ტერ გრიგორიანცი: Наше мнѣніе не уважаютъ, ухажу (მიდის): ხმა ისმის: მაინც გვიშლით და მიბრძანდით—ეგებ აღარ მოხვიდეთ. ამის შემდეგ შეუდგნენ ქალაქის საჭირ-ბოროტოთ გამხდარს ღელეს, რომელიც დღითი დღე იქცევა და ნახევარ ქალაქს ჩანთქავს უქადის და ერთ ნაწილს მეორეს აშორებს და ტფილისთან გზას ჰკრავს. ამ ღელის შესამაგრებლათ თვით გუბერნატორი აძლევს წინადადებას, რაც შეიძლება, მალე განიხილონ ეს საქმე და ამ ღელესთან ახლოს მდგმურ შენობათა პატრონთა თანადასწრებით გამოიკვლიონ, თუ დაინტერესებულნი პირნი რამდენ შემწეობას და დახმარებას აღმოუჩენენ მთავრობას ამ ღელის გასამაგრებლათ და გზის შესასწორებლათ, რისთვისაც ხუროთ მოძღვარ ანტონოვის გეგმით 20 ათასი მანათია საჭირო, მხოლოთ მიხაილოვის გამოკვლევით-კი 6360 მან. დაუბარებიათ დაინტერესებულნი პირნი—ამირხანოვი ალექსანდრე, უაჯარდუზოვი ა. სარქისოვი ზ. გოგიევი და სხვ. მაგრამ არავინ არ მოკარებია ახლოს და სურვილი დახმარებისა რომ არავის განუცხადებია. მამასახლისის თხოვნით რამდენსამე გარეშე შემძლებელ პირთ განუცხადებიათ დახმარების სურვილი—ზოგს 100 მან., ზოგს 50, და ბევრსაც 20 მან. ეს კითხვა დასმული იყო გადასაწყვეტათ 21 მარტს, მაგრამ მაშინ ოპოზიციამ არ მოისურვა ამისი შეწყნარება. ახლა მამასახლისმა თავისი მოხსენება ხელ მეორეთ აღძრა, ამასთანავე შენიშნავს, რომ რადგან სხვა საშუალება არა გვაქვს და აუცილებლათ კი უნდა გავამაგროთ ქალაქი მომავალ უბედურებისაგან, მივმართოთ მთავრობას 6 ათასი მანეთი გვასესხოს შვიდის წლის ვადით უსარგებლოთ და ეს ფული გადვიხადოთ წელიწადში 1000 მან. ახლათ მომხდარ უძრავის ქონების დაფასების ხარჯიდან შემოსული ფულით, რომელიც უნდა დამთავრდეს ამ წელს და შემატებას ქალაქს წელიწადში 3000 მანათამდინ.

დიდის ხნის კამათის შემდეგ დაადგინეს, იშუამდგომლონ სესხის აღების ნებართვის შესახებ და თანაც ნება მეოფელთაგან შეაგროვონ ფულები და ამითი აიცილონ მომავალი უბედურება.

გ. სარქისოვი და აფრიამოვი, რადგან იმათი აზრი არ იყო მიღებული, სტოვებენ დარბაზს და გადიან გარეთ.

შემდეგი თათბირი ქუჩების მოკირწყვლამ გამოიწვია. რწმუნებულ საფაროვის აზრით, კომისია უნდა ამოირჩიონ, რომელმაც გადასწყვიტოს რომელი ქუჩები უნდა მოიკირწყლოს და რომელი შეკეთდეს. ხმის უმეტესობით მიღებულ იქმნა, რომ მამასახლისმა თითონ შემოიაროს და თითონ განიხილოს სადაც უფრო საჭიროა მოკირწყლვა თუ შეკეთება ამასთან იქ, სადაც მცხოვრებს არ შეუძლიანთ მოკირწყვლა, და საჭირო კი იქნება შესწორება თუ ახლათ ქუჩის მოკირწყვლა, ქალაქმა თითონ თავის ხარჯით შეაკეთოს.

ამას შემდეგ ყუთები დადგეს ხუთი კაცის ამოსარჩევათ მაზრის ხარჯის ამკრეფ ზედამხედველთან ერთათ სახელმწიფო და საერო გარდასახადის გასაწესრიგებლათ. როცა კენჭები დათვალეს, აღმოჩნდა, რომ რწმუნებულ საფაროვს კენჭი-კი ჩაეგდო, მაგრამ თითონ ჩუმათ შინ წასულიყო. ამის შემდეგ უნდა ამოერჩიათ ერთი წევრი სარევიზიო კომისიაში მამასახლისათ ამორჩეულ ამირხანოვის მაგიერ, და განეხილათ მამასახლისად ყოფილ და მის თანაშემწის ანგარიში წარსულ წლებში და შემოსავალ-გასავლის გამამრავლებელი საბუთის ქაღალდები, მაგრამ ამისათვის საკმაო რიცხვი ხმოსნებისა აღარ დარჩა საფაროვის წასვლით და ეს საქმეებიც გადიდო შემდეგისათვის—ჩვეულებისამებრ. აღმოჩნდა, საფაროვს ეს განგებ მოეხდინა, რისგანაც მამასახლისი მიუხვდა განზრახვას და შემდეგი კრება მესამე დღისთვისვე დანიშნა.

ასე კინკლაობენ და პარტიობანაობენ ჩვენს თვით-მმართველობაში.

წვრილი ამბები

ბავშვების ჯალათი—დედაკაცი. კიევში, ერთს პატარა ქოხმახში სცხოვრობდა კარჩაკეტილი მეტად ბინძურად მოხუცებული გლეხის დედაკაცი მარიამ ილიენკო; იმის სადგომში საზარელი სუნი იდგა და ბნელოდა. პოლიციამ ყურადღება მიაქცია ამ დედაკაცის კარჩაკეტილ ცხოვრებას. როდესაც იმასა ჰკითხეს, ბავშვები ჰყავს თუ არა, ბებერი შედგა, დაიწყო პირჯვრის წერა და ფიცით რწმუნება, რომ ბავშვები არა ჰყავს, რომ საწყალი, ღარიბი დედაკაცია და რომ იმის მტრებს ამბავი მიაქვთ მთავრობასთან და ცილსა სწამებენ. ამ დროს პოლიციის მოხელემ ყური მოჰკრა ბავშვის სუსტ კნავილს და კუთხეში სადღაც მონძებში ბავშვი ეგდო. ეს იყო პატარა ბიჭი, უბედური. მიკნავებული, ძლივსღა სუნთქავდა, საზარელ შთაბეჭდილებას ახდენდა. პაწაწა ხელებს ძლივს აიძრევდა და ტუჩების სუსტი მოძრაობით აჩვენებდა, რომ შიოდა. მაშინ დაწვრილებით შეუდგნენ სახლის გაჩხრეკას. კუთხეში, ძველ დამტვრეულ ვარცლში, ათასი მონძებით სავსეში ეგდო პაწაწა ბიჭი, მკვდარი, მხოლოდ ჩონჩხი-ღა იყო. დედაკაცი შეკრთა, მაგრამ ტირილით და მუდარებით უნდოდა თავი გაემართლებინა.

ჯერ-ჯერობით გამოირკვა, რომ ეს დედაკაცი იბარებდა ახალდაბადებულ ბავშვებს გასაზრდელად და შიმშილით ხოცდა. ისიც დამტკიცდა, რომ ამ ქაჯ დედაკაცთან ხშირად მოდიან რუსისა და ებრაელის ქალები ბავშვებით და იმ სახლიდან-კი ცარიელი ბრუნდებიან; საბრალო ბავშვები მალე იხოცებიან. რამდენიმე მეზობლად მცხოვრებმა დაამტკიცა, რომ ამ ორს უკანასკნელ დღეში ამ წყეულმა დედაკაცმა თავის სახლიდან ექვსი ბავშვის ცხედარი სადღაც წაიღო. ახლო-მახლო მცხოვრებმა ყველამ იცოდა ამ საზიზღარი დედაკაცის „ხელობა“, ყველა ხედავდა, რომ იმას ძალიან ხშირად გაჰქონდა ბავშვების გვამები და ჩუმად იყვნენ ყველანი...

რა სასჯელის ღირსია ეს ღვთისაგან შერჩვენებული ბავშვების ჯალათი-დედაკაცი და ან ის „დედები“, რომლებიც ამას ბავშვებს აბარებდნენ?!

* *

იაპონელი სალდათები თოვლში. დიდი თოვლი იაპონიაში იშვიათია. ამ წლის 10 იანვარს იაპონიის ჩრდილოეთ მხარეში დიდი თოვლი დასდო. როგორც წინა წლებში, ეხლაც განიზრახეს სამხედრო უფროსებმა გამოცდა, შეუძლიანთ თუ არა იაპონიის ჯარებს ზამთარში მთა-ღრეებში სიარული. ამის გამო ქალაქ ავამორიდან გაგზავნეს ქვეითაჯარის ერთი რაზმი მაიორ იამაგუჩას უფროსობით. რაზმს შეადგენდა 199 ჯარის კაცი, 3 კაპიტანი, 5 შტაბსკაპიტანი, ერთი პორუჩიკი და ერთიც სამხედრო ექიმი, გასავლელი მანძილი 28 ვერსი იყო.

როდესაც რაზმი ქალაქიდან გამოვიდა, კარგი დარი იდგა, შემდეგ დიდი თოვლი მოვიდა და ატყდა ქარიშხალი. ნახევარი გზა რომ გაიარეს, უტყუო მთაზე უნდა გადასულიყვნენ; მთას რომ შეუდგნენ, საღამოც მოახლოვდა, ქარიშხალი უფრო და უფრო გაძლიერდა, ასე რომ სიარული შეუძლებელი იყო; უფროსმა განკარგულება მოახდინა, ღამე აქ გაეთიათ. მეორე დღეს, ე. ი. 11 იანვარს, რაზმი გაუდგა გზას, ქარიშხალი და სიცივე უფრო ძლიერი იყო, ვიდრე გუშინ, თოვლი ზოგ ალაგს ერთ საჟენამდის დაედო. მოქანცულმა რაზმმა გზა დაკარგა და სიარულის არაქათი აღარა ჰქონდა, მაშინ უფროსმა უბძანა საღამოთი იმ ადგილს დაბანაკება. ამ ღამეს რამდენიმე სალდათი გაჰყინა. 12 დილით კიდევ გაუდგნენ გზას; ღონემიხდილი და მშიერი სალდათები უგრძნობლად ეცემოდნენ თოვლში (საგძალი ორი დღისა ჰქონდათ წაღებული, მაგრამ ნახევარი გზაში გადაყარეს); ამ დღეს რაზმს დააკლდა 150 კაცი, ბოლოს თითონ უფროსმა იამაგუჩმა გრძნობა დაჰკარგა; ვინც ცოცხლები დარჩა, შეახვიეს უფროსი საბანში და ხელით მიჰქონდათ, თუმცა თითონაც იყინებოდნენ. 13 იანვარს მთელი რაზმიდან ცოცხალი დარჩა ოც კაცამდის.

სამი დღის განმავლობაში არაფერი ამბავი რომ არ მოუვიდათ იამაგუჩის რაზმის შესახებ, ავამორიდან საძებნელად ახალი რაზმი გაგზავნეს, 200 კაცისაგან შემდგარი. დიდი ქარიშხლების და ნამქერის გამო, გზა არ იყო და ეს რაზმიც ძლივს იკვლევდა გზას. 14 იანვარს წააწყდნენ ერთს ნახევრადგაყინულ სალდათს, რომელიც გრძნობაზე მოიყვანეს, და იმან უამბო თავის ამხანაგების თავგადასავალი. ეს ამბავი საჩქაროდ აცნობეს ქალაქ ავამორში, საიდანაც იმ წამსვე გამოგზავნეს სალდათები და მუშები, რომელთაც მხოლოდ 17 კაცი იპოვნეს ცოცხალი.

მაიორი იამაგუჩი იპოვეს თოვლქვეშ, გრძნობაზე მოიყვანეს და ავამორის სამხედრო საავადმყოფოში გაგზავნეს.

იაპონიაში ჩვეულება აქვთ, რომლის ძალითაც კაცი, რომელიც კანონით სხვის უბედურებაში დამნაშავე არ არის, ის დამნაშავეა თავის სინიდისის წინაშე; ამის გამო საავადმყოფოში მაიორი იამაგუჩთან მოვიდა იმისი მამა, 62 წლის მოხუცი და მიმართა შვილს: „თუმცა ამ უბედურებაში შენ დამნაშავე არა ხარ შენი სვინიდისის წინაშე, მაინც შენ თავი უნდა მოიკლა“ და მიაწოდა თავისი ხმალი. მამის სიტყვებმა და თავის საკუთარმა მოსაზ-

რებამ ისეთი ძლიერი გავლენა იქონიეს იმაგუჩაზე, რომ ვერ მოასწრო ჩვეულების შესრულება და გარდაიცვალა.

გამოსადეგი ცნობა

(დასასრული *)

7) უცბად უნდა გაამშრალონ სხეული, ოდნავ გაწმინდონ, მეტარე თავი, ხელები და ფეხები.

8) გაუღონ პირი, ყბები გაუხსნან; ენა ამოსწიონ და ისე ეჭიროთ გაჭიმული. სასარგებლოა, გაჭიმული ენა მოუშვან და გასწიონ ხოლმე; ყბები კი ღია უნდა ეჭიროთ, ძირის კბილებში უნდა ჩაუდონ პროპკა ანუ ხე.

9) წყლიდან გამოყვანილი ზურგით უნდა დააწვინონ და მხრებსა და თავ-ქვეშ შეუწყონ მაგრად დახვეული ტანისამოსი.

10) სხეულის ქვემო ნაწილი უნდა გაახვიონ საბანში ანუ მშრალ ტანისამოსში.

11) თავით უნდა დაუჯდეს კაცი და შემდეგი აასრულოს.

პირველი. ნიდაყვებში ჩაავლოს დამრჩვალს ხელი, განაშოროს სხეულს და მიიზიდოს თავისკენ ნელ-ნელა, ერთნაირად და ძლიერ, ვიდრე დამრჩვალის ხელები თავს არ გასცდება, ასე დაიკავონ ხელები ორ წამს.

მეორე. ხელები დამრჩვალისა სხეულთან მიუტანონ, მოუკაკვონ ნიდაყვებში და მაგრა მიუკრან გულის ორივე მხარეს ორის წამით, მხოლოდ შეუნძრევლად. ეს მოქმედება უნდა განმეორდეს 12—14-ჯერ წუთში. ყველაზე უკეთესია თავის სუნთქვის მიხედვით იმოქმედოს კაცმა, ე. ი. ამოსუნთქვაზე პირველი დარიგება შეასრულოს, ჩასუნთქვაზე—მეორე.

12) ეს მოქმედება უნდა გაგრძელდეს თანაბრად და ჩაციებით, ვიდრე დამრჩვალი არ დაიწყებს სუნთქვას, და ან ექიმი არა სცნობს, რომ დამხრჩვალი ნამდვილად მკვდარია *).

13) ამ მოქმედების დროს, ხელის შეუშლელად პირველისა, მეორეს შეუძლიან თან-და-თან ტანისამოსი გახადოს დამხრჩვალს, მხოლოდ სრულიად არ უნდა გაახადოს ტანისამოსი.

14) როცა დამხრჩვალი სუნთქვას დაიწყებს, მხოლოდ მაშინ, და თავის დღეში იმაზე ადრე არა, უნდა დააფარონ მთელ სხეულზე მშრალი საბნები ან ტანისამოსი და დაზილონ საბან ქვეშ, რომელიც არ უნდა გადახადონ და დაუზილონ ხელი და ფეხი ქვეიდან ზევით, ე. ი. ხელისა და ფეხის თათებიდან ტანისკენ. უნდა გახეხონ ფლანელით, მაუდით, შალის ხელთათმანებით, შოტკით, თივით, და თუ საჭიროა, ჩალით და სხვ. ფეხისა და ხელის გულები დიდხანს უნდა უხეხონ.

15) სხეული უნდა გაათბონ, წაუსვან ტფილი უთოები, აგურები ან ბოთლები ცხელის წყლით, სალფეთქში გახვეული ან ტანისამოსის ნაწილში, ანუ ცხელი ნაცრით სავსე პარკებში, წასმის დროს უნდა შეაჩერონ ხოლმე, უფრო დიდ-ხანს გულის კოვზთან, იღლიებ ქვეშ და ფეხის გულებზე.

16) როცა ავადმყოფი გონზე მოვა, იმაზე ადრე კი არა, უნდა დაალევინონ ერთი ან ორი ჩაის კოვზი წყალი ღვინით ან არყით, ან ტფილი ჩაი ან ყავა.

17) ავადმყოფი საკაცით უნდა კადაიტანონ, ძალიან ფრთხილად, ზურგზე უნდა დააწვინონ ან მარჯვენა გვერდზე საბნებში შეხვეული და დააწვინონ გამთბარ ლოგინში კარგა გამზევებულს ოთახში, და დასტოვონ სრულს სიმშვიდეში.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

29 მარტი.

ვარშავი. ვარშავის განყოფილება ვაჭრობისა და მრეწველობის დამხმარებელ საზოგადოებისა იწვევს სასოფლო-სამეურნეო მანქანების პატრონებს 1 და 2 აპრილს, რომ გამოარკვიონ კითხვა გერმანელთა მანქანების შეცვლის შესახებ.

ხარკოვი. ქალაქ ხარკოვის ვაჭართა წლიურ კრებაზე დაადგინეს იშუამდგომლონ, რომ კომერციულ სასწავლებელში მიიღებოდნენ ებრაელთა შვილები, რომლებიც მუდამ ხარკოვში ვაჭრობენ; მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ებრაელთა შვილების რიცხვი არ აღემატებოდეს დანარჩენ შეგირდთა მეათედს.

ჩიტა. დღეს პეტერბურგში წავიდა გენერალი ალექსეევი.

კრიჩევიცი. სალამოთი მოვიდა მარხილით დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე; დიდის ამბით დახვდნენ გვარდიის დრაგუნები. დილით, პარაკლისის შემდეგ, პოლკი დაათვალიერა დიდმა მთავარმა. საუზმეზე წარმოითქვა სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა; სადღეგრძელო ალტაცებით მიიღეს დამსწრეთ და აგრეთვე მიიღეს სადღეგრძელო დიდის მთავრისა, როგორც პოლკის შეფისა. დიდმა მთავარმა, გამომშვიდების დროს, დალია პოლკის სადღეგრძელო. პოლკი გაზაფხულზე პეტერგოფში მიდის სამუდამოდ საცხოვრებლად.

რადომი. გაიხსნა პირველი მაღაზია პატიმართა ნაწარმოებისა.

ვენა. დიდი მთავარი სერგეი მიხეილის ძე მოვიდა აქ.

ბიულოვი ბერლინში წავიდა. როგორც ამბობენ, იმპერატორს ის ძალიან კარგად მიუღია. ბიულოვი და ყველა სახელმწიფო პირნი, რომელთაც ის ელაპარაკა, დარწმუნდნენ, რომ სამთა კავშირი აღდგენილი იქნება.

ლოძი. აქედან კომერციის რამდენიმე ასი აგენტი წავიდა შორეულ აღმოსავლეთში და იმპერიის შუა გუბერნიებში, რათა საქონელი გაასაღონ.

მოსკოვი. ხალხში საჰიგიენო ცოდნათა გამავრცელებელმა პიროგოვის სახელობის კომისიამ მიჰმართა გუბერნიის საერობო გამგეობათ, დაეხმარონ კომისიის ფილიალურ განყოფილებათა დაარსებაში.

სასარგებლო წიგნების გამავრცელებელ საზოგადოების კრებას მოხსენდა, რომ ქალთა მფარველი საზოგადოების კომიტეტი ითხოვს, გაიხსნას ამ საზოგადოების მოსკოვის განყოფილება. წინადადება მიიღეს.

ბრიუსელი. აქ და სხვა ადგილებშიაც სასტიკი სამხედრო ზომები მიიღეს წესიერების დასაცველად.

კლერკსდორპი. შტეინი მოვიდა, აგრეთვე დევეტი და დელარეი თავიანთ შტაბით. საჭირო ზომებია მიღებული ბურთა მთავრობის წარმომადგენელთა დასაცველად; იმათ ნება დაერთოთ, ერთმანეთს გამოელაპარაკნენ.

პეტერბურგი. კიევის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ველიამინოვ-ზერნოვს ებოძა დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკობა და დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, თანხმად თხოვნისა.

დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა 29 მარტს დაათვალიერა სახელოსნო სკოლა იმპერატორის ალექსანდრე მეორის სახელობისა.

30 მარტი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვენიკ"-ში დაბეჭდილია დაწვრილებითი ცნობანი ჩინეთის საქმეების შესახებ და აგრეთვე მოყვანილია 26 მარტს პეკინში ჩინეთსა და რუსეთს შორის შეკრულ პირობის ტექსტი მანჯურიის შესახებ.

მოსკოვი. რუსეთის საზოგადოების „წითელი ჯვრის" ქრისტიანთა კომიტეტის წლიურ კრებაზე პოლკოვნიკმა ვიშნევსკიმ წაიკითხა კომიტეტის ოცდა-ხუთი წლის მოღვაწეობის ანგარიში. გრაფმა ლანსკოიმ წაიკითხა ამ დაწესებულების კომიტეტის წარსული წლის ანგარიში.

ლონდონი. პალატა. ბროდრიკი ამბობს, რომ ჯერ მმართველობას არ მიუღია ცნობები, თუ მშვიდობიანობის ზავის შესაკრავად ბურები რა პირობებსა სდებენ. ოკელლიმ იკითხა, კიტჩენერს მინდობილი აქვს თუ არა სხვა პირობები დაუდოს, გარდა იმისა, რომ სრულიად დაჰმორჩილებოდნენ ბურები. ბროდრიკმა უპასუხა, რომ ამაზე ის პასუხს ვერ მისცემს. ბლეკი ჰკითხავს, დაცული იქმნება თუ არა დროებითი შერიგება, მანამ ბურთა სარდალნი თავის ჯარზე დაშორებულნი იქმნებიან. ბროდრიკმა უპასუხა, რომ არავითარი დროებითი შერიგება არ იქმნება.

დღევანდელ დიდ კრებაზე, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო და თავმჯდომარეობდა ლორდ მერი, სჯა იყო ინგლის-რუსეთის ვაჭრობის გაძლიერებაზე. კრებას დაესწრნენ შჩერბატოვი მეუღლითურთ, ტატიშჩევი და რუსეთის საელჩოს რამდენიმე წარმომადგენელნი. ლორდ მერმა გამოაცხადა, რომ განზრახულ სავაჭრო დაახლოებას ორის სახელმწიფოისას ქალაქი ლონდონი თანაუგრძნობს. ტატიშჩევმა დარწმუნებით გამოსთქვა ის აზრი, რომ მომავალში ინგლის-რუსეთის ვაჭრობა განცხოვლდება. შჩერბატოვმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოსთქვა თავის პროექტი და მიაპყრო ყურადღება იმას, რომ ინგლისის მეურნეთ, მრეწველთ და მომხმარებელთ დიდ სარგებლობას მოუტანს სავაჭრო საქმეებში დაახლოვება.

ტანჟერი. აქაურ ნავთ-სადგურიდან ერთ დროს გავიდნენ რუსეთისა და საფრანგეთის სამხედრო გემები, რუსეთისა კადიკსში, და საფრანგეთისა—ტულონში.

ადესა. ხერსონის გუბერნატორი ლევაშოვი ადესაში სამს დღეს დარჩა, დაათვალიერნ მისდამი რწმუნებული დაწესებულებები და ტირასპოლში წავიდა.

საერო განათლების სამინისტროს საბჭოს წევრი რეპნინი აკერმანში წავიდა, საიდანაც ისევ ადესაზე გამოივლის.

საათიაქო საქონლის მაღაზიის ნოქარს მაუვეევს ერთის თვით საპატიმრო გადაუწყვიტეს და ამასთანავე საეკკლესიო მონანება, რადგან მისის გაუფრთხილებლობით ცეცხლი გაჩნდა, რომლის მსხვერპლადაც შეიქმნა ერთი პატარა ქალი და ორი ცეცხლის მქრობელ რაზმის კაცთაგანი.

ჩამოვიდა იუსტიციის სამინისტროს კონსულტაციის წევრი და საერო განათლების სამინისტროს საბჭოს წევრი ბულაშევი, რომელსაც მინდობილი აქვს ნოვოროსსიის უნივერსიტეტის ახალ-შენობების დათვალიერება.

ლონდონი. „ტიმს.-ი" იტყობინება, რომ იაპონიის ჟურნალ-გაზეთობა თანაგრძნობით ეგებება მანჯურიის შესახებ ხელშეკრულობას, რადგან იგი ამტკიცებს რუსეთის კეთილ სინდისიერობას ამ საქმეში და რადგან რუსეთის პოლიტიკა სანდობიაო.

„ტაიმს"-ი იტყობინება, რომ ჩინეთის იმპერატორმა დაამტკიცა მანჯურიის შესახები ხელშეკრულობა.

ვენა. ყველა ისინი, ვისაც ბრალდებოდა „ჟოკეი კლუბში" კანონით აკრძალული თამაში, დაჯარიმებულ იქმნენ თითოეული ათასი მანათით: ვინც ჯარიმას ვერ გადიხდის, ორის დღით დატუსაღებულ იქნება.

ტომსკი. ნება დართულია, ივლისში ტომსკში გაიხსნას ციმბირის პირველი სამასწავლებლო ინსტიტუტი. ინსტიტუტის შენობის ასაგებლად ხაზინისაგან გადადებულია 200,000 მანეთი.

ასხაბადი. გარდაიცვალა პოლიტიკური აგენტი ბუხარის ემირთან—იგნატიევი.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

---

*) იხ. „ცნო. ფურც". № 1767.

*) შემთხვევები ყოფილა, გაუცოცხლებიათ, როდესაც, რამდენიმე საათის განმავლობაში ეს ღონისძიება უხმარიათ.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 27 მარტს

ვექსილის კურსი 6 თვიდ:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,05	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,80	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%	
4% სახელმწიფო რენტა	$96^5/_8$	გაყიდ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	$96^5/_8$	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა.	$94^3/_8$	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	471	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	362	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	307	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—	
$4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

განცხადებანი

ქირავდება ბაღი

ბუფეტის მოსაწყობლად ვერაზე, ხიდს ახლო, სადაც „კახეტია" იყო. პირობების გაგება შეიძლება სოლოლაკში ბრეგუარის საპარიკმახეროში. (3—1)

ზის
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
გრის მოედანზე, ყაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.
ტელეფონი № 754. (წ.).

ორშაბათს, 25 მარტს, გაიხსნა ტფილისში, მადათოვის კუნძულზე,
ფ. ი. ფეცის დიდი მუზეუმი.
მუზეუმში 100-მდე სხვა-და-სხვა საგანია. მრავალი ახალი სანახავი! სცენაზე ბევრი ახალი სანახავია პარიზიდან: 1) დაფნა, დევნილი აპპოლონისაგან; 2) გალატეა, მარმალილოს პატარძალი და სხვა. მუზეუმი გახსნილია ყოველდღე დილის 10 საათიდან საღამოს 11-მდე; წარმოდგენების დასაწყისი ნაშუადღევის 2-დან. დაწვრილებით იხ. აფიშებში. (20—10)

მზადდება პიესების კრებული
„ცხოვრების სარკე"
გამოცემა იოსებ იმედაშვილისა
მე-III წიგნი, რომელშიაც დაიბეჭდება 7—10 (შვიდიდან ათამდის) ჯერ დაუბეჭდავი ახალი პიესა: ავაზაკები (ყაჩაღები), ტრაგედია 5 მოქ. შილლერისა, დრამები, კომედიები, ვოდევილები, სცენები, ლექსები, წერილები თეატრის შესახები, სურათები მსახიობ-მოღვაწეთა და სხვათა შორის, ვლ. მესხიშვილისა (სხვა-და-სხვა როლებში).
რადგანაც ამ გამოცემას დიდი ხარჯი უნდება, ამიტომ საზოგადოებას ვსთხოვთ ხელი მოგვიმართოს წიგნის დაკვეთაში, ე. ი. თვითო წიგნი წინდაწინვე დაიკვეთოს ერთ მანეთად, შემდეგ მეტი ეღირება.
ხელის მოწერა მიიღება გამომცემლის წიგნთ საჭაჭროში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ და აგრეთვე აგენტებთან.
ფული შეიძლება ფოსტითაც გამოიგზავნოს ხელის-მომწერლის სრულის ადრესით. წიგნი გამოსვლის უმალ გაეგზავნება ხელის-მომწერთ. გასაგზავნ ხარჯსაც ჩვენ ვიხდით. ჩვენ ადრესი: Тифлисъ, книжная торговля, Іосифу Зах. Имедашвили. (5—4)

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულს საზოგადოებას, რომ ამ წლის 1 მარტიდან ჩვენგან ახლად გაღებულს
სახელოსნოში მიიღება ყოველგვარი ხის საქმე
სახელდობრ: სახლის ავეჯეულობა, სკოლის ავეჯეულობა, ეკკლესიის კანკელები, შენობების კარ-ფანჯარა, „პადეზდის" კარები და სხვა. სახელოსნოს მშრალ სახლებში მოთავსება-მოწყობა და ჩვენს საქმეში 30 წლის გამოცდა გვაბედვინებს დავაიმედოთ მუშტარი, რომ ჩვენს სახელოსნოში გაკეთებული საქმე საიმედო იქნება. ამისათვის სახელოსნო კისრულობს პასუხის გებას. აგრეთვე სახელოსნოვე კისრულობს ქალაქ გარედაც გაგზავნოს თავისი სეული ნივთები, სადაც კი ურმის გზა არის, რომ მუშტარს გაუადვილოს შრომა.
ადრესი: ფასანაურის ვიწრო ქუჩა (ვერაზე), საკუთარი სახლი, № 16.
(10—2) სახელოსნოს პატრონები ვ. და დ. გოცირიძეები.

Дозволено цензурою Тифлисъ, 30 Марта 1902 года.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.